



FINCA[®] Bank
ფინკა ბანკი

შეთანხმება ინტერნეტ და მობაილ ბანკით
მომსახურების ძირითადი პირობების შესახებ

წინამდებარე პირობები (შემდგომში „შეთანხმება“) აწესრიგებს სს „ფინკა ბანკი საქართველო“-ს („ბანკი“) მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირ(ებ)ისათვის, ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სუბიექტ(ებ)ისათვის („მომხმარებელი“) ინტერნეტ და მობაილ ბანკით მომსახურების განწესის პირობებს.

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

- 1.1 მომხმარებელს შეუძლია, ბანკის მიერ დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით, ინტერნეტ და მობაილ ბანკის მეშვეობით მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება საბანკო ოპერაციების და ინფორმაციის სახით. მომსახურება ხორციელდება მომხმარებლებისთვის, რომლებსაც უკვე გახსნილი აქვთ საბანკო ანგარიში სს „ფინკა ბანკი საქართველოში“.
- 1.2 შეთანხმება აწესრიგებს მომხმარებლის მიერ ინტერნეტ და მობაილ ბანკის იმ ვერსიის გამოყენებას, რომელსაც ბანკი სთავაზობს მომხმარებელს: ინტერნეტ ბანკის ვერსია ვერსია განთავსებულია ვებ-გვერდზე - www.ifinca.ge, ხოლო მობაილ ბანკის ვერსია შესაბამისი აპლიკაციის ჩამოტვირთვის გზით ხელმისაწვდომია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებიდან, ძირითადად ფინანსების კატეგორიაში, სახელით - FINCA Bank Georgia.
- 1.3 განუვლი სხვადასხვა მომსახურებისთვის ბანკმა შესაძლოა დაადგინოს საკომისიო ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.fincea.ge.

მუხლი 2. ინტერნეტ ბანკით მომსახურება

- 2.1 **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით მომხმარებელს შეუძლია, ინტერნეტ-გვერდის www.ifinca.ge-ის გამოყენებით, საბანკო დანესებულებაში მიუსვლელოდ/დისტანციურად მართოს თავისი ანგარიშები, შეასრულოს და განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი პირობებით.
- 2.2 მომსახურების შედეგად შესაძლებელია შედგეს **ელექტრონული საგადახდო დოკუმენტი** მომხმარებლის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთის სახით, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს და არის ორიგინალი საბუთის ტოლფასი, რომელსაც ექნება მტკიცებულების ძალა. მომხმარებლისთვის მისაღებია, რომ ელექტრონული საგადახდო დოკუმენტები გამოიყენება, როგორც საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მომხმარებლის ანგარიშებზე განხორციელდეს ოპერაციები.
- 2.3 **მომხმარებლის სახელი (Username) და პაროლი (Password)** არის ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის უნიკალური სახელი და პაროლი, როგორც ასოების, სიმბოლოების და ციფრების სხვადასხვა სახის კომბინაცია, რომელიც გამოიყენება მომხმარებლის სახელთან ერთად ინტერნეტ ბანკში შესასვლელად და, რომელიც მიენიჭება მას ინტერნეტ ბანკში რეგისტრაციისას.
- 2.4 ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობისათვის მომხმარებელს ბანკში არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა ინტერნეტ ბანკით სარგებლობისათვის შესაბამისი საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მონაცემები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება მომხმარებლის იდენტიფიკაცია.
- 2.5 ინტერნეტ ბანკში რეგისტრაცია ხორციელდება ორი გზით:
 - 2.5.1 ფილიალში / სერვის ცენტრში რეგისტრაცია - როდესაც მომხმარებელი ფილიალში / სერვის ცენტრში ავსებს განაცხადს და ბანკის თანამშრომლისგან იღებს ინტერნეტ ბანკში სამუშაოდ საჭირო მომხმარებლის სახელს, პაროლი კი ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS-ის) საშუალებით.
 - 2.5.2 ონლაინ რეგისტრაცია (მხოლოდ მომხმარებელი ფიზიკური პირებისათვის) - რეგისტრაციისთვის აუცილებელია, მომხმარებელი შევიდეს მისამართზე www.ifinca.ge და აირჩიოს „ონლაინ რეგისტრაცია“. რეგისტრაცია რამდენიმე საფეხურისგან შედგება. ონლაინ რეგისტრაციისთვის საჭიროა მომხმარებელი იყოს ბანკის უკვე არსებული მომხმარებელი და სისტემაში მითითებული ჰქონდეს თავისი მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც გაეგზავნება პაროლი SMS-ის საშუალებით. ონლაინ რეგისტრაციის დროს მომხმარებელს უფლება აქვს დადასტურებით დაეთანხმოს ან უარყოს ვებ-გვერდის საშუალებით წინამდებარე „ინტერნეტ და მობაილ ბანკით მომსახურების ძირითადი პირობები“. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ დაეთანხმება მოცემულ პირობებს ვებ-

- გვერდზე მითითებული სპეციალურ „ვეთანხმები“ ბმულზე შესვლით ან/და უარყოფს მას, იგი ვერ ისარგებლებს ინტერნეტ ბანკის მომსახურებით.
- 2.6 მომხმარებელი იურიდიული პირის წარმომადგენელს, რომელიც უკვე რეგისტრირებულია მომხმარებლად ინტერნეტ ბანკში, შეუძლია დაარეგისტროს დამატებითი მომხმარებლები (შემდეგში „ავტორიზებული მომხმარებელი“) და წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭოს მათ ინტერნეტ / მობაილ ბანკით დაშვებული სათანადო ხელმისაწვდომობა და უფლებამოსილებები.
 - 2.7 მომხმარებელი იურიდიული პირის წარმომადგენლის მოთხოვნით შესაძლებელია, განისაზღვროს ერთი მომხმარებლის მიერ გატარებული საბანკო ოპერაციის სხვა მომხმარებელ(ებ)ის მიერ ავტორიზაციის (ელექტრონულად დადასტურების) საჭიროება. ასეთ შემთხვევაში, ოპერაციის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ყველა საჭირო ავტორიზაციის განხორციელების შემდეგ; ბანკი პასუხს არ აგებს მომხმარებლის მხრიდან დაუავტორიზებელი დავალების შესრულებლობისათვის.
 - 2.8 ბანკი არ არის ვალდებული, შეამოწმოს იურიდიული პირის ავტორიზებული/ქვეავტორიზებული მომხმარებლების უფლებამოსილება ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით ინფორმაციის მიღებაზე/ოპერაციების განხორციელებაზე; ავტორიზებული/ქვეავტორიზებული მომხმარებლების მიერ ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით გაგზავნილი დავალება/განხორციელებული ქმედება ბანკის მიერ ჩაითვლება მომხმარებელი იურიდიული პირის მიერ გაგზავნილად/განხორციელებულად.
 - 2.9 SMS შეტყობინებების გაგზავნა ხდება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ფიქური კავშირგაბმულობის ოპერატორების ნომრებზე.
 - 2.10 მომხმარებლის იდენტიფიცირება ხდება დადგენილი ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ. ნებისმიერი ქმედება, რომელიც სრულდება ნამდვილობის დადგენის პროცედურების გავლის შემდეგ, ელექტრონულ სისტემაში შესვლის შედეგად, ჩაითვლება მომხმარებლის მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი მტკიცებულების ძალის მქონედ.
 - 2.11 მომხმარებელმა თავიდან უნდა აიცილოს ინტერნეტ ბანკში უფლების არმქონე მესამე მხარეთა შესვლა მისი მომხმარებლის სახელითა და პაროლით.
 - 2.12 ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც ბანკი გადასცემს მომხმარებელს, წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და მომხმარებელმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე შეთანხმებაში გათვალისწინებული დანიშნულებით. მომხმარებელს მკაცრად ეკრძალება აღნიშნული ტექნიკური საშუალებით გენერირებული ინფორმაციის გამჟღავნება ან გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისათვის.
 - 2.13 ინტერნეტ ბანკის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ანგარიშების მართვა, ინფორმაციის მიღება, მომსახურების მიღებაზე რეგისტრაცია, საბანკო ოპერაციების განხორციელება და სხვა ქმედებების განხორციელება, რომელთა კონკრეტული ჩამონათვალი მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე, ხოლო განხორციელების წესი და პირობები განსაზღვრულია ბანკის მიერ.
 - 2.14 ბანკი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, შეამოწმოს მომხმარებლის დავალების ნამდვილობა.
 - 2.15 გაუქმებული ინტერნეტ ბანკის აღდგენა არ ხდება. თუ მომხმარებელი გამოთქვამს ინტერნეტ ბანკის მომსახურების განახლების სურვილს, მაშინ მომხმარებელთან გაფორმდება ახალი შეთანხმება ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე.
 - 2.16 მომხმარებელი იურიდიული პირის, მენარმე ფიზიკური პირის ან ინდივიდუალური მენარმის მიერ უცხოური ვალუტის გადარიცხვა ხორციელდება სავალუტო გადარიცხვისათვის კანონმდებლობითა და ბანკის მიერ დადგენილი წესების დაცვით; ბანკს უფლება აქვს, მოსთხოვოს მომხმარებელს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა და მომსახურება განახორციელოს უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციების წარმოების წესების შესაბამისად.

მუხლი 3. მობაილ ბანკით მომსახურება

- 3.1 **მობაილ ბანკი** არის მომსახურება, რომელიც დაფუძნებულია მობილური ინტერნეტის ტექნოლოგიაზე. იგი შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს მობილური მონაცემების (ან სხვა, ტელეფონის მსგავსი ფუნქციის მქონე) საშუალებით მართოს და აკონტროლოს თავისი საბანკო ანგარიშები, ასევე განახორციელოს გადახდის ოპერაციები.
- 3.2 მობაილ ბანკით სარგებლობის მიზნით, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს გააქტიურებული ინტერნეტ ბანკი და გააჩნდეს ბანკის მხრიდან განსაზღვრულ სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში, სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი.

- 3.3 მობაილ ბანკით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მობაილ ბანკის აპლიკაციის (აპლიკაცია ხელმისაწვდომია ოპერაციული სისტემების ინტერნეტ მაღაზიებში - Google Play, App Store) ტელეფონზე ჩატვირთვის და მისი ინსტალაციის შემდგომ.
- 3.4 მობაილ ბანკი ინტეგრირებულია ინტერნეტ ბანკთან, რაც გულისხმობს, რომ ორივე საშუალებისთვის მომხმარებელი სარგებლობს ერთი და იმავე მომხმარებლის სახელით, პაროლით და აუტენტიფიკაციის საშუალებებით. ინტერნეტ ან მობაილ ბანკის სახელის, პაროლის, სხვა აუტენტიფიკაციის საშუალების შეცვლა გავრცელდება ორივე დისტანციურ საბანკო მომსახურებაზე.
- 3.5 მომხმარებელი ადასტურებს, რომ ბანკს შეუძლია ჩაინეროს მობაილ ბანკის მომსახურებით გათვალისწინებული ნებისმიერი დავალება, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნება მობაილ ბანკის მეშვეობით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. ბანკს შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც მტკიცებულება.
- 3.6 ინტერნეტ ბანკით მომსახურების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს მობაილ ბანკით სარგებლობის შეწყვეტასაც.
- 3.7 მობაილ ბანკის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ანგარიშების მართვა, ინფორმაციის მიღება, მომსახურების მიღებაზე რეგისტრაცია, საბანკო ოპერაციების განხორციელება და სხვა ქმედებების განხორციელება, რომელთა კონკრეტული ჩამონათვალი მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე, ხოლო განხორციელების წესი და პირობები განსაზღვრულია ბანკის მიერ.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1 ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
 - 4.1.1 მიღებული დავალების შესრულების ხანგრძლივობაზე, თუ დაყოვნება განპირობებულია იმით, რომ ბანკის მიერ დავალებების შესრულება დამოკიდებული ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიაზე და იმ მომსახურებაზე, რომელსაც ბანკს მესამე პირები აწვდიან;
 - 4.1.2 ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარვეზზე, რომელიც მომხმარებელმა მიიღო მისი დავალების დაგვიანების/შეუსრულებლობის გამო;
 - 4.1.3 მომხმარებლის ან მესამე პირების მხრიდან ინტერნეტ/მობაილ ბანკის - ნებისმიერ გამოყენებაზე, ტექნიკურ ხარვეზებზე, ხელმისაწვდომობაზე, დაკარგვაზე, შეცვლაზე, გაუქმებაზე და ამგვარი მოქმედებების/უმოქმედობის შედეგად გამონვეულ ზიანზე;
 - 4.1.4 მინდობილობის ვადის გასვლის გამო შესაბამისი მომხმარებლის მინდობილი პირ(ებ)ის ნებისმიერ მოქმედება/უმოქმედობაზე.
 - 4.1.5 მომხმარებელი იურიდიული პირის მიერ ავტორიზებული/ქვეავტორიზებული მომხმარებლების ინტერნეტ/მობაილ ბანკის ნებისმიერ გამოყენებაზე, ტექნიკურ ხარვეზებზე, ხელმისაწვდომობაზე, დაკარგვაზე, შეცვლაზე, გაუქმებაზე და ამგვარი მოქმედებების/უმოქმედობის შედეგად გამონვეულ ზიანზე;
 - 4.1.6 მომხმარებლის მხრიდან უსაფრთხოების მოთხოვნების განზრახ ან გაუფრთხილებელი დარღვევის, ბანკის მხრიდან დადგენილი რეკომენდაციების, დამატებითი ინსტრუქციების შეუსრულებლობით გამონვეულ შედეგებზე, და ფორსმაჟორული მდგომარეობაში დავალებების შესრულების დროს.
- 4.2 მომხმარებელი იურიდიული პირი ასევე სრულად პასუხისმგებელია ავტორიზებული/ქვეავტორიზებული მომხმარებლების შერჩევასა და მათ მიერ ინტერნეტ/მობაილ ბანკის გამოყენებაზე, დავალებების შესრულებაზე, მათ მიერ მომსახურების შეცვლაზე, გაუქმებაზე და სხვა ამგვარი მოქმედებების/უმოქმედობის შედეგად გამონვეულ ზიანზე.
- 4.3 მხარეები ვალდებული არიან, მათ შორის დადებული და მონესრიგებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ყველა შესაძლებლობა ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.
- 4.4 მომხმარებელი გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაცია არის ნამდვილი, ზუსტი, სრული და პასუხისმგებელი იქნება მის განახლებაზე.
- 4.5 მომხმარებლის მიერ შესრულებული ტრანზაქციების აუტენტიფიკაცია ხდება მისთვის გაგზავნილი ერთჯერადი SMS შეტყობინების შედეგად მიღებული კოდის მეშვეობით და ბანკის ავტორიზებით. ტრანზაქციის ავტორიზების შემდეგ ტრანზაქციის გაუქმება არ ხორციელდება.

- 4.6 ინტერნეტ/მობაილ ბანკთან რაიმე ოპერაციის შესრულებისას მოულოდნელად წვდომის შეწყვეტის შემთხვევაში რეკომენდირებულია ხელახლა შესვლა და მითითებული ოპერაციის შესრულების გადამოწმება.
- 4.7 ბანკმა მომხმარებლისთვის შესაძლოა დაადგინოს დამატებითი ინსტრუქციები ინტერნეტ/მობაილ ბანკის გამოყენებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც დამატებით აცნობებს მომხმარებელს.
- 4.8 მომხმარებელი აცნობიერებს ასევე, რომ ინტერნეტით/მობაილ ბანკით მომსახურება დაკავშირებულია და არ ამოიწურება შემდეგი შესაძლო რისკებით:
 - 4.8.1 გზავნილების, მასში მოცემული პერსონალური/კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირების მხრიდან არამართლზომიერი დაუფლება;
 - 4.8.2 არაავტორიზებული წვდომა;
 - 4.8.3 ავტორიზებული/ქვეავტორიზებული პირების ქმედება/უმოქმედობა;
 - 4.8.4 კომპიუტერული ვირუსების გავრცელება.
- 4.9 მომხმარებელი თავად არის პასუხისმგებელი კომუნიკაციის საშუალებების და ამავე სერვისის მიწოდებლების შერჩევასა და გამოყენებაზე.
- 4.10 მომხმარებელი პასუხისმგებელია ბანკისათვის მიწოდებული ინფორმაციის და რეკვიზიტების სისწორისა და სისრულისთვის.
- 4.11 მხარეები ადასტურებენ, რომ არც პირდაპირი, არც არაპირდაპირი გზებით არ მონაწილეობენ ტერორისტულ საქმიანობაში, არ უწყობენ ხელს ტერორიზმის დაფინანსებას ან/და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას. მათ მიერ ნებისმიერი სახით მოპოვებული სახსრები არ უკავშირდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ან ტერორიზმის დაფინანსებას.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მომხმარებელი ვალდებულია:

- 5.1.1 შეასრულოს ისეთი დავალებები ოპერაციების სანარმოებლად, რომელიც არ არის კანონმდებლობით ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებებით აკრძალული;
- 5.1.2 საბანკო ოპერაციის განხორციელებამდე სერვის ცენტრებისა და ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით გაეცნოს შესაბამისი ოპერაციისთვის დადგენილ ტარიფებს;
- 5.1.3 დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდს/აპლიკაციას და ინტერნეტ/მობაილ ბანკში შესვლისას შეამოწმოს თავისი მონაცემების სისწორე. მუშაობის დაწყებამდე განახორციელოს უსაფრთხოების სერთიფიკატის შემოწმება, რომელიც მოცემულია „ინტერნეტ ბრაუზერის“ შესაბამის ველში.
- 5.1.4 ყოველთვის ისარგებლოს „ინტერნეტ ბრაუზერის“ განახლებული ვერსიით;
- 5.1.5 მუშაობის დასრულებისას პროგრამიდან გამოვიდეს მხოლოდ „გამოსვლა“ ბმულზე დაჭერით;
- 5.1.6 შესაბამის ვებ-გვერდზე შესვლისას არ დატოვოს ჩართული ტერმინალი ან სხვა მონყობილობა, რომლიდანაც შევიდა ვებ-გვერდზე და არ დაუშვას მესამე პირის მიერ ვებ-გვერდით ან ტერმინალით, ან სხვა მონყობილობით სარგებლობა მანამდე, სანამ მომხმარებელი სრულად არ გავა აღნიშნული ვებ-გვერდიდან და ამგვარად არ დარწმუნდება, რომ მესამე პირების მიერ მისი გამოყენება შეუძლებელია;
- 5.1.7 არ გააგზავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია ელ. ფოსტის საშუალებით (ბანკი არასდროს ითხოვს მომხმარებლის პირადი და უსაფრთხოების ინფორმაციის, პაროლის ან ანგარიშების ინფორმაციის სრულად გაგზავნას ელ. ფოსტით);
- 5.1.8 აცნობოს ბანკს ინტერნეტ/მობაილ ბანკის მომსახურების არაავტორიზებული გამოყენების შესახებ, რომლის თაობაზეც შეიტყო ან აქვს ეჭვი, ან, როდესაც მესამე პირისთვის გახდა ცნობილი მისი იდენტიფიკატორები;
- 5.1.9 მინდობილობის ვადის გასვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გააუქმოს მინდობილობით მოქმედი პირის წვდომა ინტერნეტ / მობაილ ბანკის მომსახურების სარგებლობაზე;
- 5.1.10 სხვა რაიმე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს;
- 5.1.11 საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს ბანკს მესამე პირებთან ნებისმიერ დავაში ან/და სამართალდამცავ ორგანოებს ინტერნეტ/მობაილ ბანკის მომსახურების არაავტორიზებული გამოყენების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში;

- 5.1.12 უსაფრთხოდ შეინახოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია და მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 5.1.13 შეამოწმოს გადაცემული მოწყობილობების თუ საშუალებების გამართულობა;
- 5.1.14 საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, წერილობით ან სატელეფონო სერვისცენტრის მეშვეობით შეატყობინოს ბანკს აღნიშნულის შესახებ, რის საფუძველზეც ბანკი განახორციელებს მომსახურების შეჩერებას;
- 5.1.15 ინტერნეტ ბანკში პირველივე შესვლისას შეცვალოს წვდომის პაროლი და შემდგომში ბანკის მიერ დადგენილი პერიოდულობით ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- 5.1.16 მიიღოს უსაფრთხოების გონივრული ზომები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საიდუმლოდ შეინახოს და არავის გადასცეს მომხმარებლის სახელი და პაროლი, არ გამოიყენოს პაროლის შენახვის ფუნქცია საერთო წვდომის მოწყობილობიდან სარგებლობისას, არავის გადასცეს პირადი მობილური ტელეფონი ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობა, რომელზეც დამახსოვრებულია მომხმარებლის სახელი და პაროლი ან რომელიც მისცემს შესაძლებლობას პირებს ასევე მომხმარებლის მონაცემების გამოცვლის ან წვდომის შესაძლებლობას;
- 5.1.17 საკომისიო ტარიფის არსებობის შემთხვევაში, გადაუხადოს ბანკს მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული მომსახურების საფასური.
- 5.1.18 აცნობოს ბანკს მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი მონაცემის შეცვლის, ასევე ბანკში წარდგენილი/დაცული პირადობის დამადასტურებელი (ან მასთან გათანაბრებული) საბუთის ვადის გასვლის და ამავე საბუთის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

5.2 ბანკი ვალდებულია:

- 5.2.1 მომსახურების ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის დროს ბანკის შეხედულებების მიხედვით ერთ-ერთი საშუალებით: ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებით, პირადად, ელექტრონული ფოსტის, SMS გზავნილის, ტელეფონით, წერილის გაგზავნით ან სხვა ელექტრონული საშუალებებით აცნობოს მომხმარებელს, რაც არ საჭიროებს მისგან დასტურის მიღებას გზავნილის ჩაბარებაზე;
- 5.2.2 საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს მომსახურებით სარგებლობის წესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- 5.2.3 ნებისმიერ დროს მომხმარებლის თანხმობის გარეშე, ცალმხრივად საკუთარი შეხედულებისამებრ ინტერნეტ/მობაილ ბანკით მომსახურების სარგებლობის საკომისიოს ან/და მოქმედი საკომისიოს ოდენობის ან/და გადახდის წესის დაწესების, გააუქმების ან შეცვლისას მოცემული ინფორმაცია განთავსოს ვებ-გვერდზე ან/და მომხმარებელს შეატყობინოს ელ.ფოსტის ან SMS შეტყობინების საფუძველზე ტარიფის ძალაში შესვლამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 6. მხარეთა უფლებები

6.1 მომხმარებელს უფლება აქვს:

- 6.1.1 წინამდებარე შეთანხმების მიხედვით განახორციელოს ისეთი დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, რომლებიც არ არის კანონმდებლობით აკრძალული და მიზნად არ ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ან კანონსაწინააღმდეგო ქმედების დაფინანსებას;
- 6.1.2 ბანკისადმი მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს გააუქმოს/შეაჩეროს მომსახურებით სარგებლობის უფლება;
- 6.1.3 წინამდებარე პირობების დაცვით აწარმოოს ყველა შესაძლო ოპერაცია;
- 6.1.4 შესაძლებლობების ფარგლებში, დამოუკიდებლად განახორციელოს პერსონალურ პარამეტრთა მოდიფიცირება;
- 6.1.5 წარადგინოს პრეტენზია ბანკში ა) ზეპირი ფორმით - ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში წარდგენით ან ცხელი ხაზის (+99532 224 49 49) საშუალებით; ბ) წერილობითი ფორმით - ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში თავისუფალი ფორმით შედგენილი პრეტენზიის ან შევსებული სპეციალური ფორმის ჩაბარებით (პრეტენზიის წერილობითი სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ასევე

ელექტრონული ფორმა განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.finca.ge); გ) ელექტრონული ფორმით - ბანკის ელექტრონულ მისამართზე (fincageo@finca.ge) წერილის გაგზავნით და/ან ფეისბუქის გვერდის გამოყენებით (<https://www.facebook.com/FINCA.ge>) ინფორმაციის მიწოდებით. პრეტენზია უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მისი შინაარსი გასაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მომხმარებელს მოსთხოვოს პრეტენზიის დაზუსტება ან მისი წერილობით წარმოდგენა.

- 6.1.6 პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაცია მიიღოს ცხელ ხაზზე (+99532 224 49 49) ან წერილობით, ხოლო პრეტენზიის აღრიცხვიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში შეუძლია მიიღოს პასუხი;
- 6.1.7 გაეცნოს მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა www.nbg.gov.ge და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

6.2 ბანკს უფლება აქვს:

- 6.2.1 ნებისმიერ დროს ცალმხრივად და დასაბუთების გარეშე, წინამდებარე შეთანხმების 8.4. პუნქტით გათვალისწინებული წესით გააუქმოს/დროებით შეწყვიტოს მომსახურება ან მისი გარკვეული ნაწილი;
- 6.2.2 მომხმარებლის დამატებითი თანხმობის გარეშე განსაზღვროს/შეცვალოს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის საკომისიო ან/და შეცვალოს მოქმედი საკომისიოს ოდენობა;
- 6.2.3 ცალმხრივად, მომხმარებლის წინასწარი ინფორმირების გარეშე, შეწყვიტოს მომხმარებლის მომსახურება ინტერნეტ ბანკით, თუ მომხმარებლის მიერ 3 თვის განმავლობაში არ იქნება გადახდილი დაწესებული ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური;
- 6.2.4 განათავსოს/გაუგზავნოს გარკვეული ინფორმაციის შემცველი სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი განცხადება ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას;
- 6.2.5 გააუქმოს/შეწყვიტოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების მახასიათებლები;
- 6.2.6 დაანესოს შეზღუდვა მომსახურების განვსაზღვრულ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;
- 6.2.7 შექმნას დამატებითი მექანიზმები მომხმარებლის იდენტიფიკაციისთვის;
- 6.2.8 უსაფრთხოების მიზნებისთვის, გარკვეული პერიოდული მოსთხოვოს მომხმარებელს პაროლის ცვლილება პაროლის სირთულესთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუბლოკოს ინტერნეტ / მობაილ ბანკით მომსახურება;
- 6.2.9 პოლიციას ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილ დაწესებულებებს მიანოდოს ინფორმაცია მომხმარებლის ან მისი ანგარიშ(ებ)ის შესახებ, თუ ბანკი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამ ინფორმაციის მიწოდება რაიმე ტიპის ზიანის თავიდან აცილებისა და ანაზღაურებისთვის;
- 6.2.10 მომხმარებლის ოპერაციებზე ცალმხრივად დაადგინოს ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები;
- 6.2.11 საკუთარი შეხედულებისამებრ, მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით, შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომსახურება მომხმარებლისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ ირღვევა უსაფრთხოების ნორმები;
- 6.2.12 უაქცეპტოდ ჩამოწეროს დადგენილი მომსახურების საკომისიო მომხმარებლის საბანკო ანგარიშებიდან საანგარიშსწორებო თარიღ(ებ)ის დადგომის დღეს;
- 6.2.13 ცალმხრივად შეცვალოს ინტერნეტ/მობაილ ბანკის გამოყენების ინსტრუქცია ან/და წინამდებარე პირობები და შეცვლილი სახით განათავსოს ბანკის ვებ-გვერდზე.

მუხლი 7. განსაკუთრებული პირობები

- 7.1. მომხმარებელი თანახმაა, ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე გაუხსნას მას ბანკმა დამატებითი ანგარიშ(ებ)ი (თუ ბანკის მიერ დაშვებულია აღნიშნული მომსახურება) იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს უკვე გახსნილი აქვს ანგარიში ბანკში და მის მიერ ანგარიშის გასახსნელად წარდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს დამატებითი ანგარიშის გახსნის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის მოთხოვნებს.

- 7.2. ინტერნეტ/მობაილ ბანკში მომხმარებლის სახელითა და პაროლით წვდომის ყველა შემთხვევა კვალიფიცირდება მომხმარებლის მიერ წვდომად, ნებისმიერი გაცემული დავალება კვალიფიცირდება მომხმარებლის დავალებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა შეატყობინა ბანკს მომხმარებლის სახელის, პაროლის ან/და მოწყობილობების დაკარგვის/მესამე პირების მიერ დაუფლების შესახებ ამ შეთანხმებით დადგენილი წესით. მომხმარებლის სახელითა და პაროლით წვდომის განხორციელების შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მის საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია და შეასრულოს ინტერნეტ/მობაილ ბანკით განხორციელებული ოპერაციები/მომსახურება.
- 7.3. ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით მხარეთა მიერ გაკეთებულ შეტყობინებებს, მათ შორის (არა მხოლოდ) გაცემულ თანხმობასა და გაგზავნილ განაცხადს აქვს ხელმოწერით დადასტურებული ქალაქის საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (მათ შორის, დამატებები) ინტერნეტ და მობაილ ბანკით მომსახურების ძირითად პირობებში და/ან საბანკო მომსახურების ტარიფებში. ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბანკის ვებ-გვერდზე და ბანკის ოფისებში. ინფორმაციის განთავსებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ ცვლილება შევა ძალაში.
- 8.2. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ ეთანხმება შეთავაზებულ ცვლილებას, მას უფლება აქვს, შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა ცვლილების ძალაში შესვლამდე; ამასთან, იგი ვალდებულია, შეწყვიტამდე შეასრულოს ბანკის წინაშე არსებული ყველა ვალდებულება, დაფაროს საკომისიო და სხვა გადასახდელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილება შევა ძალაში და სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება მეცვლილი პირობებით.
- 8.3. თუ დაგეგმილი ცვლილება არ ეხება შეთანხმების არსებით პირობებს/აუმჯობესებს მომსახურების პირობებს და დამატებით ხარჯს არ იწვევს მომხმარებლისთვის, ბანკს უფლება აქვს, ამ ვადის დაუცველად განახორციელოს ამგვარი ცვლილების შეტანა წინამდებარე შეთანხმებაში, ამავე დოკუმენტით განსაზღვრული ფორმით.
- 8.4. წინამდებარე შეთანხმების ან მისი ნაწილის მოქმედება წყდება: ა) მომხმარებლის ინიციატივით; მომხმარებელს უფლება აქვს, შეწყვიტოს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობა ნებისმიერ დროს ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების იურიდიულ მისამართზე ჩაბარების გზით, მას შემდეგ, რაც დაფარავს შეწყვეტის მომენტში ბანკის წინაშე არსებულ ყველა დავალიანებას/გადასახადს საქართველოს კანონმდებლობით გამოდინარე პროცედურების დაცვით; აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება ვალდებულებების სრულად დაფარვის ვადით. ბ) ბანკის ინიციატივით; ბანკს უფლება აქვს, შეწყვიტოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახის საბანკო მომსახურების განწვევა მომხმარებლისთვის შეწყვეტის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, ელექტრონული (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და სხვა) ან წერილობითი ფორმით. გ) მომხმარებლის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკის მიერ ვადის დაცვის გარეშე. დ) წინამდებარე შეთანხმებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 8.5. იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება/ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და უცხოურ ენაზე უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.
- 8.6. მომხმარებლის განაცხადი ან/და 2.5.2 პუნქტის შესაბამისად, თანხმობის გამოხატვა ინტერნეტ/მობაილ ბანკის მომსახურების მიღებაზე წარმოადგენს ამ შეთანხმებაზე, „საბანკო მომსახურების ზოგად პირობებზე“, საბანკო მომსახურების ტარიფებზე და ინტერნეტ/მობაილ ბანკით მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა პირობებზე თანხმობას. მომხმარებელი, განაცხადზე ხელის მოწერით ან თანხმობის გამოხატვით ადასტურებს, რომ წინასწარ დეტალურად გაეცნო წინამდებარე შეთანხმებას და შესაბამის ინსტრუქციას, „საბანკო მომსახურების ზოგად პირობებს“, საბანკო მომსახურების ტარიფებს და ინტერნეტ/მობაილ ბანკით მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.finca.ge. მომხმარებლის ხელმოწერა ან თანხმობის გამოხატვა წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. ბანკი განიხილავს მომხმარებლის განაცხადს, თანდართულ დოკუმენტებს (საჭიროების შემთხვევაში) და იღებს გადაწყვეტილებას საბანკო მომსახურების განწვევის თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ არ

არსებობს მომხმარებელთან ხელშეკრულების დადების წინამდებარე შეთანხმებით ან ზოგადი პირობებით და/ან კანონმდებლობით განსაზღვრული დამატრკოლებელი გარემოება. ბანკის მიერ განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბანკსა და მომხმარებელს შორის წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც მოქმედებს უვადოდ.